# [უკრაინის ეკლესიის საკითხზე კონსულტაციები ორი ქვეყნის სასულიერო და საერო მმართველებთან გაიმართება]



**უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე კონსულტაციები გაიმართება როგორც ეკლესიებს, ასევე ორი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. ამის შესახებ ჟურნალისტებთან განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ.**

დეპუტატის თქმით, ქართული მხარე ნებისმიერ გადაწყვეტილებას მიესალმება, რომელიც პარტნიორი ქვეყნის, უკრაინის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ იქნება მიმართული და უკრაინელი ხალხის ინტერესებს მოემსახურება.

> *„რაც შეეხება ეკლესიის საკითხს, ამ თემაზე ეკლესიას კომუნიკაცია ეკლესიასთან ექნება, ხოლო ხელისუფლებას კავშირი ხელისუფლებასთან აქვს“, — განაცხადა თალაკვაძემ.*

შეგახსენებთ, გიგა ბოკერია ხელისუფლებას მოუწოდებს, საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებას არ დაელოდოს და უკრაინის მართმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს.